შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 9 ხუთშაბათი, 4 აპრილი, 1906 წ. გაზეთის № 25

განთიადის წინ

(ვიქტორ ჰიუგოდან)

ხშირადა ხდება, ხშირად დგება დრო გარყვნილების,
სინათლეს ბნელი და მზაკვრობა მართალს ამარცხებს.
ხშირადა ჰქრება ქვეყნად კვალი პატიოსნების,
უსინდისობა სინდისსა სცემს, ტალახში ათრევს!

—

აჰა, ცხოვრება ქეიფია, მხოლოდ ხარხარი,
დაჩლუნგდა გრძნობა, გარყვნილებას მიეცა სული,
აქ თამაშობენ, იქა სვამენ, ხმაა საზარი,
სძინავს სინდისსა, სძინავს ურცხვად, გაქცუდა გული!

—

პატიოსანი ხმა გაწყვიტა დამთვრალთ ყვირილმა,
პატიოსანი აზრი ჩანთქა მათმა ყიჟინმა,
ურცხვს ფეხი-ფეხზე ამაყურად გადაუდვია,
მოციქული კი წმინდა აზრის ტალახში გდია!

—

მაგრამ იგი დრო უსინდისო, ხან-მოკლე არის,
მალე დაუკრავს იმის სათვლავს გლოვისა ზარი,
გაივლის ღამე, ბრბო, ღამის ბრბო მაიფანტება,
და ამაღლდება დიდებული ხალხის ცისკარი!

ი. ევდოშვილი

* * *

„რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი!“

ჰამლეტ.

კალამი ხელს არ ემორჩილება. გონება სდუმს, გრძნობა მიჩლუნგებულა.

„აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები!“

ირგვლივ სხვა სურათებია!! გოლგოთა, გოლგოთა, გოლგოთა! სალრჩობელა, სალრჩობელა, სალრჩობელა!

ტურფა ხევებში სისხლის რუებია! უწმინდესი გრძნობანი შეგინებულია, საუკეთესო ლტოლვილებანი დამარცხებული.

ჟანსონი.

ვანდერველდი.

ამათ სიტყვა წარმოსთქვეს ბრიუსელში ქართველების შესახებ გამართულ მიტინგზე. (იხ. „შრომა“ № 23)

მაღლა ყვავ-ყორანი! სვავთა ხარხარი!

ისმის ჩხრიალი... ბორკილების მტვრევისა კი არა, მისი შეჭედვის.

მამას გაუყარეს იგი ფეხებში. დედა კი ტყე-ტყე დაძრწის თავის პაწია უმანკოთი, რომელიც დედის გამხმარ და გამოფიტულ ძუძუებიდან ამაოდ გამოელის აღმზრდელს და დამპურებელს რძეს;

და... ნამუს-ახდილი გამოესალმა წუთი სოფელს.

მეგობრები, ძმები და ამხანაგები?

— იმათია სისხლის რუები.

— საყვარელი?

— გული გაუპეს!

— ჰო, საშინელებავ!

მე თვით ვნახე, შავი ყორანი თავის მყრალის ნისკარტით როგორ უკორტნიდა ტურფა თვალებსა!..

აქ კიდევ ცის ტოტნობზე ჩონჩხიანი შიმშილი მოსჩანს.

გარს კი მათრახები გამზადებულან.

პირდაპირ—ზარბაზნები, უკან კი კვლავ ბორკილები.

გავშტერებულვარ. თვით წყევაც კი ვერ ამოსცდენია ბაგეებს.

ირგვლივ კი მაინც მომესმის, ყურში მეჭრება, გულს მიზარავს კვნესა, გმინვა დაჩაგრულისა.

ო, რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი!

შალვა დადიანი

სამაისო სიზმარი

მუშათა ცხოვრებიდან

(დასასრული*)

IV

საღამო ხანი იყო და აუარებელი მუშა იყრიდა თავს „სახალხო სახლში“. ზემოდ მუშათა ორკესტრს რეპეტიცია ჰქონდა. ამ ორკერსტრში იყო შეერთებული ჯგუფი მემუსიკე-მუშებისა, რომელიც მუშათა ყველა დღესასწაულსა და კონცერტებზე და აგრეთვე მანიფესტაციების დროს უკრავდა. ეს ორკესტრი ხშირად გაისეირნებდა ხოლმე ქალაქის ქუჩებსა და ქალაქ გარეთაც; საცა წავიდოდა, ყველგან „მარსელიეზა“-ს უკრავდა და თანაც არიგებდა „ხალხი“-ს ნომრებს, პარტიის ბროშიურებს და ამსახით პროპაგანდას ეწეოდა, ხალხში ავრცელებდა მუსიკის ტკბილ ხმებთან ერთად სოციალიზმის იდეებს, იდეებს მუშათა კავშირისა, საყოველთაო ძმობისა და მშვიდობიანობის დამყარებისას.

დარბაზს მიტინგისთვის ამზადებდნენ, „საოჯახო სახლი“ ახლა გაჩირაღდნებული იყო, სიცოცხლე სდუღდა და გადმოდუღდა, დიდს მზადებაში იყვნენ სამაისო მანიფესტაციისთვის. საათის 8-ზე მოისმა პატარა ზარის ხმა, რომელიც მიტინგზე იწვევდა ხალხს. პარტიის საყვარელი ორატორები უკვე დარბაზში იყვნენ. ერთი ამათგანი ყოფილი მუშაა (პარტიას იმდენი საქმე აქვს საწარმოებელი, რომ ბევრი მუშა იძულებული იყო თავი გაენებებინა მუშაობისათვის და ჯამაგირით შესულიყო პარტიის სამსახურში). აი ტრიბუნაზე ავიდა ორატორი და დაიწყო: ამხანაგებო, მუშათა პარტიის საბჭო გულმხურვალედ მოგიწოდებთ თქვენ, რაც შეიძლება, მეტმა მოიყაროთ თავი პირველ მაისის დღესასწაულზე და ყოველი ღონისძიება იხმაროთ, რომ არც ერთი მუშა არ მუშაობდეს ამ დღეს. ჩვენი

*) იხ. „დამატება“ № 8.



ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ექსპლოატატორები გვაიძულებდნენ გვედღესასწაულნა მათი დღესასწაულნი, გვეწამნა მათი წმინდანები. ახლა კი დადგᲐ დრო, ვადღესასწაულებინოთ იმათ საყოველთაო გაფიცვით დღესასწაული პროლეტარიატისა, დღესასწაული მთელის დატანჯულის კაცობრიობისა. ეს დღესასწაული მთელის ქვეყნიერების დღესასწაულია. ამ დღეს მუშაობის შეწყვეტითა და დღესასწაულობით თქვენ ერთობა-სოლიდარობას უცხადებთ ყველა ქვეყნის მუშებს, რომელნიც თქვენსავით უქმობენ დღევანდელ დღეს, ხვალინდელი თქვენი ერთობრივი, ერთსულოვანი მანიფესტაცია შიშის ზარს დასცემს თქვენს სისხლის მწოველთ: თქვენის ერთსულოვანებით თქვენ დაუმტკიცებთ მთელის ქვეყნიერების ამხანაგ-მუშებს, რომ იმათ შეუძლიათ თქვენი იმედი იქონიონ. დღე, ყველა მუშები შეეგებენ პირველ მაისს, განთიადს განთავისუფლებისას, განთიადს ახალის ცხოვრებისას! გაუმარჯოს პირველ მაისს! გაუმარჯოს მჭიდროდ შეკავშირებულსა და შეერთებულს პროლეტარიატს!

„გაუმარჯოს პირველ მაისს!—“ გაისმა მგრგვინავი, მქუხარი ყიჟინა ვებერთელა დარბაზში. მუშები ცხვირსახოცების ქნევით უმტკიცებდნენ ორატორს თავიანთ სოლიდარობას, ფედორი იჯდა და პირზე ხელი მიეფარებინა. მისთვის მიუწდომელი იყო მთელი ის ძლიერება, რომელიც იხატებოდა მუშების ხმებში, მათს აღტაცებაში. რაღაც თავისუფალი, ძლიერი, მქუხარე, გამოისმოდა ამ ხმებში, ეფინებოდა მთელს დარბაზს, ძალ-რბილში უჯდებოდა მუშებს.

ილაპარაკეს პარტიის ორატორებმაც, შემდეგ გადავიდნენ მორიგ საქმეებზე და საღამოს 11 საათზე დაიშალნენ, რათა დიდებულად მიჰგებებოდნენ ხვალინდელს დიდებულს დღეს.

მხიარული, კმაყოფილი მუშები ჟრიამულით მიდიოდნენ თავიანთ სახლში, არავისი არ ეშინოდათ, არავის არ ეშალებოდნენ, ქუჩებში ხმამაღლა, თამამად განაგრძობდნენ სჯაბაასს, და გაზაფხულის მყუდრო ღამეს უზიარებდნენ თავიანთს თავისუფალს აზრებსა და გრძნობებს, თავიანთ იმედებს მომავალზე.

V

მეორე დღეს ფედორი და მისი ამხანაგი დილა ადრიან „სახალხო სახლ“-ში იყვნენ. ჩინებული დღე იდგა, ჰაერი წმინდა და ნათელი იყო, ცის კამარა მოწმენდილი ხელის გულივით, ბუნება ნორჩ სამოსელში ეხვეოდა, კოკრები რაღაცა მორცხვად იშლებოდა, თითქოს ეშინიათ თავიანთ ამხანაგების წინ გასწრობა, თითქოს სცდილობს სხვებთან ერთად მიეგებნენ მშვენიერს, კეკლუცს გაზაფხულს, დღესასწაულს განახლებისასაო.

ყვავილების მორევში სცურავდა „სახალხო სახლიც,“ წწავდნენ გვირგვინებს საღამოს მანიფესტაციისთვის, ამზადებდნენ ლამპრებს, დროშებს. დილით ქალაქის ყველა კუთხეში მიტინგები იყო. პარტიის ორატორები უხსნიდნენ, ებაასებოდნენ ამხანაგებს ერთობა-სოლიდარობასა, სოციალიზმსა, მუშათა მოძრაობის მიზნებსა და სხვა საგნებზე. ყველა მიტინგზე აღიარებული იქმნა 8 საათის სამუშაო დრო, როგორც მახლობელი მიზანი მუშათა კლასისა.

ასე ჩაიარა დღემ.

საღამოს ექვს საათზე დაიწყო დენა მუშათა ჯგუფებმა ანსპახის ბულვარისაკენ, საიდანაც მანიფესტაცია უნდა გამართულიყო. მოედანსა და მის ახლო-მახლო ქუჩებზე ათასობით იდგნენ ცნობის მოყვარენი. „ნუ გროვდებით, ნუ უშლით ხელს მუშების დამწკრივებას!“—გაიძახოდა პოლიცია. იგი მოსულიყო, რათა ხელი შეეწყო მუშებისათვის, გაეწმინდა მათთვინ გზა. მთელი ორი საათის განმავლობაში მწკრივდებოდნენ მუშები, მოედანზე ჯერ-ჯერობით ორმოცდა ათი ათას კაცს მაინც მოეყარა თავი. დილის 8 საათზე დაიძრა პროცესია. წინ მიჰქონდათ წითელი დროშა ზედწარწერით; „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ ეს ორტარიანი დროშა, ყვავილებით მორთული, მიჰქონდათ მუშებს. უკან მისდევდნენ პროფესიონალური კავშირები თავიანთის დროშებით. მიჰყვებოდა აგრეთვე კავშირი სამეტალურგიო ქარხნების მუშებისა ვებერთელა დროშით, რომელიც ოთხ მუშას მიჰქონდა. დროშაზე გამოხატული იყო ვებერთელა ჩაქუჩი და გრდემლი. მას უკან მიჰყვებოდნენ ფეიქრებისა, დურგლებისა, მექუდეებისა და სხვა ხელობის აუარებელი კავშირები: ამათ მისდევდა კავშირი სოციალისტ-სტუდენტებისა, მკერავ ქალებისა, მეხელთათმნეებისა, მეყვავილეებისა, მრეცხავებისა და სხ. ვისაც დროშა არ მიჰქონდა, იმას ლამპარი ეჭირა. დროშებზე სხვადასხვა წარწერა იყო. ასე, მაგალითად, ერთზე ეწერა: „ჩვენც გვწყურიან სიცოცხლე, ვითხოვთ 8 საათის სამუშაო დღეს;“ „კაპიტალიზმი ჰნთქავს მუშების



შეპყრობილი წითელი რაზმელები.

სიცოცხლეს, ძირს კაპიტალიზმი"! ძირს მუდმივი ჯარი! ჩვენ ვითხოვთ სახალხო მილიციას!" ერთ-ერთ დროშაზე დახატული იყო მდიდრულად მორთული ოთახი, გაშლილი სუფრით, სადაც ელაგა ღვინო და სხვადასხვანაირი საჭმელი; სტოლს უჯდა მსხვილი კაცი,—იქვე წარწერა: „ასე სცხოვრობენ მუქთახორები, მუშების ოფლით გამაძღარნი!" ამ სურათის გვერდით დახატული იყო ღარიბი ქოხი, შიშველ-ტიტველის ბავშვებითა და მომაკვდავ მუშით, ზედ შემდეგი ეწერა: „ასე სცხოვრობენ მუშები, რომელთა სისხლი კაპიტალის მოგებათ გადაქცეულია."

კავშირებს შორის მემუსიკეები განუწყვეტლივ უკრავდნენ მარსელიეზას და კარმანიოლას. უკან მოდიოდა ვეებერთელა ეტლი, სულ ერთავად სავსე ყვავილებით. ყვავილებში ასამდე ბავშვი იჯდა. იმათ საყვარელ სახეებს ძლივს გაარჩევდით ყვავილებისაგან; მათი წკრიალა ხმა ცამდინ სწევდენ სიმღერებს თავისუფლებასა და თანასწორობაზე. ყვავილებში აშკარად მოსჩანდა შემდეგი წარწერა: „ჩვენ ვითხოვთ ბავშვების აღზრდას სახელმწიფო ხარჯით, ჩვენ ვითხოვთ, რომ ბავშვები სკოლებში დადიოდნენ ფაბრიკების მაგიერ! გაუმარჯოს სოციალიზმს, იგი გაანთავისუფლებს ჩვენს ბავშვებს მონობისაგან!" პატარები თავს უკრავდნენ გამვლელ-გამომვლელთ, იმათ პაწაწა ხელები ძმურს სალამს იძლეოდენენ, გაწითლებულ პირსახეებზე კი ბედნიერება და სიხარული უბრწყინავდნენ; ყვავილები რხევით ეალერსებოდნენ ბავშვებს, თითქოს აღთქმას სდებენ, დაიხსნან მძიმე ცხოვრებისაგან პროლეტარები, იმ ცხოვრებისაგან, რომელიც მძიმე ლოდივით დასწოლოდათ კისერზე მათ მამებსა და დედებს...

ბავშვებს უკან მიჰყვებოდა ორთვლიანი ეტლი. ისიც გატენილი იყო ყვავილებით, რომლებშიაც გამოიცქირებოდა ლამაზი ქალიშვილი, თეთრებში გამოწყობილი, თმა გაშლილი. მის ფეხებთან განუწყვეტლივ ენთო მაგნი და ოქროსფერ სხივებს ჰფენდა. ეს იყო თავისუფლების ღმერთი. თავსზევით ოქროს ასოებით გამოყვანილი წარწერა: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, სიყვარული".

მთელმა ამ პროცესიამ ვეებერთელა ადგილი დაიჭირა. იგი დაიძრა და გაემართა მდიდრების უბნებისაკენ. რაღაც სასწაულებრივს, რაღაც საიდუმლოებით აღსავსე შესახედობას წარმოადგენდა ეს პროცესია... ქუჩებში აღარ იძროდა არც ერთი ეტლი, გამვლელ-გამომვლელნი სცდილობდნენ გზა მიეცათ პროცესიისათვის. რაღაც სამარისებური სიჩუმე იყო ჰაერში, ძირს კი, ქუჩებში, ჰქუხდა მარსელიეზა, ედებოდა მთელს ქალაქს და არავის არ შეეძლო არ დაეგდო მისთვის ყური, დაჰმალვოდა მის გამსჭვალავ ხმებს...

რასა ჰფიქრობდა ამ დროს ბურჟუაზია? როგორ გუნებაზე იყო იგი ამ დროს თავის სასახლეების მოოქვრილ გალიებში?

როგორის თვალებით უცქეროდა იგი თავის მტერს, რომელიც თამამად მიაბიჯებდა ქუჩებში, მტერს შეერთებულს ერთ დაურღვეველ კავშირში? ამ მოლაპლაპე ლამპრებში, ამ მწყობრად მიმდინარე ხალხში, ამ ცოლებისა, ქმრებისა, ბავშვებისა, დებისა და ძმების კავშირში იგი ხედავდა თავის დაუძინებელს, ულმობელს მტერს, თავის მემკვიდრეს... აი იმიტომაა, რომ ასე შავბნელად იცქირებიან ახლა მდიდრების სახლები, ასე საჩქაროზედ იხურება აივნების კარები, იქ მცხოვრებთ არ უნდათ დაინახონ პროლეტარიატის მხიარულობა, არ უნდათ შეჰხედონ ამ ერთად ერთს დღეს, ერთად ერთს ბედნიერს დღეს პროლეტარიატისათვის წელიწადში, ერთს დღეს, რომელიც მეტს იმედს უნერგავს, მეტ ძალას ჰმატებს მომავალ ბრძოლისათვის...

პროცესიამ გაიარა ყველა მთავარი ქუჩა, მთავარი მოედანი და მივიდა ქალაქის საბჭოსთან დიდს მოედანზე, პოლი-

ციას იქაც ეზრუნა მუშებისათვის: მოედანი უკვე შემოღობნათ ფიცრებით, გარეთ უნდა დამდგარიყვნენ გარეშე მაყურებლები, შიგნით მუშები. როცა ამოდენა ჯარმა მუშებისამ დაიჭირა მთელი მოედანი, ყველამ ერთხმად დასძახა მარსელიეზა და შემდეგ გაისმა; „გაუმარჯოს მუშათა პარტიას! გაუმარჯოს მუშათა მოძრაობას მთელ დედამიწაზე! გაუმარჯოს სოციალიზმს!“

გათავდა მანიფესტაცია, დაქანცული მუშები ნელა, ხელიხელ გადადებული დაიშალნენ თავიანთ სახლებში. შუაღამე იქნებოდა. ვარსკვლავებს კაშკაში გაჰქონდათ ცაზე, მაისის თბილ ღამის ზეწარში გახვეულიყო ქალაქი...

ფედორი მიდიოდა და თანაც ჰბოდავდა. მართალია ყველაფერი, მართალია, ყოველისფერი ეს საკუთარის თვალებით ნახა, თითონ მონაწილეობდა ამ მანიფესტაციაში, ის უამბობს თავის ამხანაგებს, უამბობს ყველაფერს, როგორ სცხოვრობენ მათი ამხანაგები, ისიც ეღირსება, იგიც მიაღწევს და მოესწრობა ამისთანა დღეს თავის სამშობლოში, იგი ფიცსა სდებს არ დაზოგოს თავი, ახლა კი იცის რა არის მათთვის საჭირო...

მაგრამ ეს რა ამბავია? კვნესა? ტირილი? თუ მოეყურა ყველაფერი? არა, ტირილის ხმა უფრო მაღლა გაისმა, გულს უჩხვლეტს ეს ტირილი, აქეთ-იქით მივარდება, უნდა იპოვნოს, ვინა ჰღვრის ამ ცრემლებს, ვინ მოსუქვამს ასეთის ხმით, ვისი კვნესა უღრღნის სულს...

VI

ჩაძაღლდი, თუ რა დაგმართნია?—გაისმა ვიღაცას ტლანქი ხმა.

ფედორი ძლივსძლივობით მოვიდა გონს, მიიხედ-მოიხედა და რას ჰხედავს: თავზე დასდგომია ჟანდარმი და აღვიძებს, რაც ძალი და ღონე აქვს. ოთახი უკვე გავსებულა პოლიცველებით, რომელთაც დედაბუდიანათ გადაუბრუნებიათ ოთახი. მეორე ჟანდარმს ხელში უჭირავს სამაისო პროკლამაციები, რომელიც ფედორის ჯიბეში ჰნახა. ფედროს დაავიწყდა პროკლამაციების ამოღება ჯიბდან! კუთხეში მიმჯდარია დაშა და მწარეთა და გულამოსკვნით ქვითინებს.

— დაჩუმდი, შე ძროხავ, ან და აქედგან დაიკარგე!— დაუბრახუნა დაშას ჟანდარმმა ფეხი.

„თხლაშ!..“ გაისმა თხლაშანის ხმა პატარა ოთახში. დაშამ უფრო უმატა ქვითინს, ფედორისაგან სილანაჭმევმა ჟანდარმმა კი დაავლო მას ხელი და იქვე გარინდდა...

ფედორის მკრთალმა, შესაშინებელმა, სიძულვილით აღსავსე სახემ დასწვა იგი და იძულებული იყო ხელები გაეშვა...

ა ლომთათიძე

ოპოზიციურ გაზეთის რედაქტორი, რომლის გაზეთი ც ჯერ არ დაუხურავთ. ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომ ყველა გაკვირვებული უყურებს, და ფოტოგრაფები სურათს იღებენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.

ელ.კტ··ტის სტ.მბა წიგ გამ მც. ქართ. ა ხ—ს.

ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი №37.